

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!



ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად აღდგა!

ძვირფასო მეგობრებო, გილოცავთ უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

თითოეული მართლმადიდებლისთვის აღდგომა უმთავრესი დღესასწაულია, რომელიც განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებს, რადგან მაცხოვარმა მონაშემორბივი სიკვდილით და შემდეგ

მკვდრეთით აღდგომით კაცობრიობას კვლავ გაუღო სამოთხის ჩაკეტილი კარი. ამიტომაც, აღდგომა არის სიხარული და იმედი, რომ სიკვდილს სიცოცხლე დაამარცხებს, ხოლო სიძულვილსა და ბოროტებას, სიკეთე და სიყვარული.

ჩვენს ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაში არასოდეს გაუმარჯვია სიძულვილსა და ბოროტებას. უფლისგან მოვლენილ ყველა განსაცდელს ქართველი ყოველთვის ღირსეულად ხვდებოდა და მამა-პაპათაგან ნაბოძები სამი დიდებული საუნჯის – მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთგული რჩებოდა. სწორედ ამიტომ – ქრისტეს სიყვარულით ვიყავით, ვართ და ვიქნებით მარადის. მშვიდობა ჰქონოდეს ჩვენს ღვთისმშობლის ნილხვედრ სამშობლოს!

მრავალ გადნობიერ აღდგომას დაეხმარეთ!

ნიკოლოზ ჯანიშვილი,
დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის მერი



და ვაკეთოთ სიკეთე. სიყვარულით ვაშენოთ ჩვენი ღვთიკურთხეული სამშობლოც. სხვანაირად არ შეგვეფერის, ჩვენ ხომ ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი მედროშეები ვართ.

ჩემო ძვირფასებო, გისურვებთ უფლის წყალობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სიხარულს. სიკეთე გქონოდეთ.

ნუშარ კაპანიშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



აღდგომა და ტრადიციები

12 საუფლო დღესასწაულს შორის, აღდგომა ქრისტიანთა უმთავრესი დღესასწაულია. ამ დღეს, ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები ცოდვებისგან იხსნა. უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად აღნიშნავენ.

აღდგომის წინა დღეს, დიდ შაბათს, მორწმუნეები მოუთმენლად ელიან იერუსალიმის აღდგომის ტაძარში მაცხოვრის საფლავზე წმინდა ცეცხლის გადმოსვლას. ამ სასწაულის სანახავად იერუსალიმში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი მომლოცველი ჩადის.

გადმოცემის თანახმად, წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიართვა, ტიბერიუსმა უპასუხა: მაგ კვერცხის განითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეიცალა და განითლდა, ამის შემდეგ კვერცხის შეღებვა ტრადიციად იქცა და ქრისტესმიერ დაღვრილი სისხლის განსახიერება გახდა.

აღდგომას საქართველოში განსაკუთრებულად აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ტრადიციები აქვთ, წითელ პარასკევს ყველა ოჯახში წითლად იღებენ კვერცხები და ცხვენა პასკები. საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში, შუალამიდან საზეიმო წირვა-ლოცვა იწყება, რომელიც დილაშდ გრძელდება. ამ დღეს ქრისტიანები ერთმანეთს ულოცავენ სიტყვებით - „ქრისტე აღსდგა! - ჭეშმარიტად აღსდგა!“, აღდგომას ყველა ოჯახში იშლება საზეიმო სუფრა, მწვანე ჯეჯილი, წითლად შეღებილი კვერცხები, სააღდგომო პასკა და წითელი ღვინო ამ სუფრის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სააღდგომო ტრადიციებია, მათი უმრავლესობა დავიწყებას მიეცა, თუმცა, ზოგიერთი მათგანი კიდევ შემორჩენილია.

აღდგომას დასავლეთ საქართველოში ყველა ადრინად ემზადებოდა ცისკარ-

ზე წასავლელად. ახალი მიცვალებულის პატრონი თავისი ჩამოსარიგით მიდიოდა თავისი მიცვალებულის საფლავზე და იქვე სუფრაზე აწყობდა სანოვარს. გათავდებოდა თუ არა ცისკარი, მღვდელი ჩამოივლიდა ყველა სუფრას, აკურთხებდა და შემდეგ ჭირისუფალი თავისი სანოვარიდან ურიგებდა ცოტ-ცოტას ყველაფერს იქ მყოფთ. ოჯახში კი, სანამ სადილად დასხდებოდნენ, უფროსი ქალი აიღებდა საოჯახო განატეხს (ანთებულ სანთელი კედელზე უნდა ყოფილიყო მიკრული), ჭიქით ღვინოს, განატეხს წალმა შუატრიალდებდა და დაილოცებოდა: „აღდგომის ძალო და მადლო! კაი წელიწადი დაგვიყენე, ბევრი აღდგომა მოასწარი ყველა ჩვენიას“.

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სააღდგომო ტრადიციაა „ჭონა“, ჭონა ალილოს წაგავს. ძველად, აღდგომის დღეს, რამდენიმე კაცი (მეჭონეები), სოფელს ჩამოუვლიდა სააღდგომო სიმღერით და ხალხს დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისები კი, მათ კვერცხებით, ტკბილეულით, ხილით და ფულით ასარუქრებდნენ. დღის ბოლოს ახალგაზრდები შეგროვილ ხორავს შემოუსხდებოდნენ და ილხენდნენ. ამჟამად კი, ჭონაზე, ძი-

რითადად, ბავშვები დადიან.

რაჭაში სააღდგომოდ მიცვალებულთა პატივსაცემად ცხვარს კლავდნენ. აღდგომის დღით ყველა ოჯახში პურის ფაფას აკეთებდნენ. აღდგომის მეორე დღეს კი, გიორგონთობას ზეიმობდნენ, აცხობდნენ ლობიანებს, შეეცეცელებს, ბორჩხუნებს და ხარშავდნენ ხორცს.

სამეგრელოში აღდგომას ქვევრის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ, აცხობდნენ ყველიან და კვერცხიან კვერებს, ოჯახის უფროსი დილიდან მარხულობდა, შუადღისას ხონჩაზე დააწყობდნენ მამლის თავს, ღორის გულღვიძლს, კვერებს, ქვევრს თავს მოხდიდნენ და დაილოცებოდნენ.

გურიაში აღდგომას ტრადიციულად ლელო იმართება. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს ავსებენ ნახერხითა და სილით და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა შავი ღვინის, ბრონეულის წვენი, თავლის და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია.

გურიაში სააღდგომოდ გულმოდგინედ ემზადებოდნენ. კერავდნენ ახალ სამოსს, აგრეთვე, სხვადასხვა ფერისა და ზომის ტყავის ბურთს. შაბათ საღამოს დაასუფთავებდნენ სახლს და სა-

აღდგომო კერძებს ამზადებდნენ. შუალამისას ეკლესიაში მიდიოდნენ, წირვის დასრულების შემდეგ კი სასაფლაოზე გადიოდნენ, სადაც მღვდელი ტაბლებს აკურთხებდა.

სააღდგომო ტრადიციებით გამორჩეული იყო **სვანეთი**. შუალამისას მთელი მოსახლეობა ეკლესიაში წირვას ესწრებოდა, დილით კი სასაფლაოზე ტაბლებზე სანთლებს ანთებდნენ, სრულდებოდა საგალობლები. ძველად სააღდგომო ზეიმი მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და კვირაცხოვლობის დღესასწაულით-უფლიშობით მთავრდებოდა. კვირაცხოვლობის დღესასწაულისთვის სვანები განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. ყველა სოფელი თითო საუკეთესო ბუღას გამოარჩევდა და საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ სოფლის მოედანზე ბუღების ჭიდილი იმართებოდა. ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და თანამედროვე ართვინის ვილაიეთში.

აღმოსავლეთ საქართველოში, იქ, სადაც ეკლესიები იყო, ხალხი წირვა-ლოცვას ესწრებოდა, ზიარებას იღებდა.

კახეთში ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები გადიოდნენ სასაფლაოზე, აგორებდნენ კვერცხებს. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. კლავდნენ ქათმებს, ინდაურს, მიცვალებულს უჭრიდნენ ზურგიელს, იმ ქვეყანად წყლის დაღვრის ნება რომ მიეცათ, ერთმანეთს ეპატიუებოდნენ და ქეიფობდნენ. აღდგომას უხაშო კაკანტელებს აცხობდნენ და არიგებდნენ. იცოდნენ კვერცხებით თამაში.

ისტორიულ **ჰერეთში** ამ დღესასწაულისთვის ვენების პარასკევიდან ემზადებოდნენ. აღდგომას წითელი კვერცხებითა და საჭმელ-სასმელით მამაკაცები სასაფლაოზე გადიოდნენ, უვლიდნენ საფლავებს, შემდეგ ბურთაობდნენ და საღამოს სახლში ბრუნდებოდნენ. დილით ყველა ახალი ტანისამოსით იმოსებოდა, თავს იყრიდნენ სახლის აღმოსავლეთ ნაწილში და სანთლებს ანთებდნენ.

/გაგრძელება გვ.3/



დედოფლისწყაროში წარმოებული მზა სადილი სინგაპურში გამოიფინა

სააგენტოს „ანარმოვ საქართველოში“ მხარდაჭერით, სინგაპურში, აზიის წამყვან საკვები და სასმელი პროდუქტების საერთაშორისო გამოფენაზე **FHA (Food & Beverage Trade Show)**, 10-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებას ყოველწლიურად 57,000-ზე მეტი პროფესიონალი ვიზიტორი ესწრება, ხოლო მონაწილე კომპანიების რაოდენობა 2,000-ს აღემატება. **FHA** აზიის ერთ-ერთი უმსხვილესი გამოფენაა საკვები და სასმელი პროდუქტების ინდუსტრიაში. ღონისძიება მსოფლიო ბრენდებს, მწარმოებლებს, დისტრიბუტორებსა და სავაჭრო პარტნიორებს აერთიანებს.


გაზეთი „შირაქი“ გამოფენის შთაბეჭდილებებსა და შედეგებზე დედოფლისწყაროში მოქმედ მზა პროდუქტების კომპანია „ჯენატიურალის“ მარკეტინგის მენეჯერს ესაუბრა. მათი საწარმო სოფელ გამარჯვებაში მდებარეობს.

ამიკო კალანდია: „საინტერესო გამოფენა იყო სინგაპურში, საკმაოდ იყვნენ დაინტერესებული პირები. მსოფლიოს არაერთი ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. ძირითადად აზიიდან, ახალი ზელანდიიდან და ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან. უშუალოდ ჩვენ 30-მდე შეხვედრა გავმართეთ, აქეთაც ჰქონდათ შემოთავაზებები ნედლეულთან დაკავშირებით. იყვნენ დაინტერესებული ექსპორტიორები, დისტრიბუტორები. ჩვენ თითქმის ყველა სახეობა გვქონდა გატანილი, რასაც ვაწარმოებთ, ასევე ერთი ახალი პროდუქტის წარმოება და-ვიწყეთ და ისიც გამოვფინეთ. ინტერესი ძირითადად მოშუშული ხორცის ნაწარმზე გამოხატეს. გაჩნდა ახალი კონტაქტები, ვაპირებთ ამ კავშირების გამოყენებას და თანამშრომლობას, რათა უკეთესად განვითარდეთ. ამგვარი გამოფენების ძირითადი არსიც ესაა, რომ უცხო ქვეყნების ბაზრებს გავაცნოთ ჩვენი წარმოება, შევთავაზოთ ახალი პროდუქტები და დავაინტერესოთ. ამიტომაც სიამოვნებით ვიყენებთ ამ შესაძლებლობას. რამდენჯერმე ვიმყოფებოდით სხვადასხვა ქვეყანაში ამ ტიპის გამოფენებზე. რაც შეეხება ექსპორტს, ამ ეტაპისთვის რომელიმე ახალ ქვეყანაში არ გავსულვართ, ისევ აზერბაიჯანსა და უკრაინაში გავვაქვს „სადილის“ კონსერვები. გავზარდეთ ქართულ ბაზარზე ხელმისაწვდომობა, შევედით ისეთ ქსელურ მარკეტებში, სადაც აქამდე სადილის ნაწარმი წარმოდგენილი არ გვქონდა. ასეთია მაგალითად „მაგნიტის“ ქსელი. ზოგადად მიიღო გითხრათ, რომ ბოლო წლებში ჩვენი საწარმოს წარმადობა მზარდია და განვითარებისთვის მუშაობას კიდევ უფრო გავაგრძელებთ.“ **შუკაპი**



ქართული ენის დღე ხორნაბუჯის სკოლაში

14 აპრილს, ახალგაზრდული ცენტრის წევრთა ინიციატივით, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში მოეწყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დოკუმენტური ფილმის - „ქართული კალიგრაფია“ ჩვენება. ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის



მოსწავლეები. ფილმის ჩვენების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ცენტრის სპეციალისტი ახალგაზრდობის საკითხებში ნინო ალადაშვილი და სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მარიკა პოპიაშვილი.

ერთად გადავარჩინოთ ბუჩქ!

ახალგაზრდული ცენტრის წევრების ინიციატივით, 14 აპრილს, გარემოს დაცვის მიმართულებით მოხალისეობრივი აქტივობა შედგა. მოხალისეებმა შემოიერთეს ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები, მათ ერთად დააკალმეს ნაკურთხი ბუჩქები და დაფესვიანების მიზნით ჩარ-



გეს ქოთნებში. მოხალისეები გვპირდებიან, მომავალი ბზობისთვის, დაფესვიანებული ნერგების გრუნტში გადარგვას.

ერთად გადავარჩინოთ გადაშენების გზის პირას მყოფი ბუჩქ!

თვითმმართველობათა ასოციაციის კონფერენცია კახეთში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ა.თ.ე.ა) სამართლებრივ საკითხთა კომიტეტის მორიგ სამუშაო შეხვედრას დაესწრო, რომელიც რეგიონული შეხვედრების ფარგლებში კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან გაიმართა.



შეხვედრის მიზანი იყო მუნიციპალიტეტების რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სამართლებრივი საკითხების გამოვლენა, რაც კომიტეტს დაეხმარება მომზადდეს ისეთი ცვლილებების ინიციატივების, რომლებიც უპასუხებს არსებულ პრაქტიკულ მოთხოვნებს.

შეხვედრა დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობდა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დეცენტრალიზაციის პროცესის გაძლიერების მექანიზმებს.

მონაწილეებმა განიხილეს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობას განსაზღვრავს, მათ შორის საუბარი შეეხო ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში მომსახურების მიწოდების; ბუნებრივი რესურსების მართვის; კომუნალური სერვისების მიწოდებისა და ქონების მართვის მიმართულებებს.

მიწის რეგისტრაციის დედოფლისწყაროს შედეგები მერიას გააცნეს

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის შუალედური შედეგები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან, მერის მოადგილეებთან, გელა სამუკაშვილთან და მალხაზ მერაბიშვილთან, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან განიხილეს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის ბოლომდე გრძელდება. მოქალაქეებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს რეფორმაში ჩართვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შესაძლებლობას აძლევს, 2025 წლის ბოლომდე, სრულიად უფასოდ აზომონ და დაირეგისტრირონ მიწის ნაკვეთი.



შეხვედრა კონტრაქტორ კომპანიებთან



მადგენლებს შეხვდა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ინფრასტრუქტურული პროექტები მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება საავტომობილო გზების მშენებლობა. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ თითოეული პროექტი დროულად და ხარისხიანად განხორციელდეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად კონტრაქტორი კომპანიების წარმო-

სათნოების სახლის ბენეფიციარებს სააღდგომო ნობათები გადაეცათ

დედოფლისწყაროში, სათნოების სახლის ბენეფიციარებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა, საკრებულოს წევრმა, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ბახუტაშვილმა, მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა მიუღოცეს.

წინასააღდგომოდ სათნოების სახლის 170 ბენეფიციარს სააღდგომო ნობათი გადაეცა.

„აღდგომა უდიდესი ქრისტიანული



დღესასწაულია, რომელიც სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, განახლებისა და იმედის სიმბოლოა. გილოცავთ ამ დღესასწაულს, მრავალ ბედნიერ აღდგომას დაესწარი!“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ინგა შიოლაშვილი



„გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან...“

გმირები-ვინ არიან ისინი? ერთი შეხედვით უბრალო ადამიანები დიდი გულით. მათ სტიკივით, განიცდიან და ეშინიათ კიდევ, მაგრამ შიში ყველა ნორმალური ადამიანის თვისებაა. მთავარი ისაა, გადააბიჯო ამას და გააკეთო შენი საქმე. ნათქვამია „სულის სიმტკიცე ის კი არაა არასდროს დაეცე, არამედ დაცემულმა წამოდგომის ძალა იპოვო“. გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან.

თანამედროვე გმირები ჩვენს გვერდით არიან. განსაკუთრებით, ჯარისკაცები. ყოველი ჯარისკაცი, არა აქვს მნიშვნელობა, გამოუვლია თუ არა ომის ქარცეცხლი ის გმირია, იმიტომ, რომ მათთვის ყოველი დღე ბრძოლის ველია და ისინი იქ იმარჯვებენ. სამშობლო

წარდგენენ მომღერლები - ტატო გოდერძიშვილი, გიორგი კიკოლიშვილი, ნინო ბალიაშვილი, ადგილობრივი ანსამბლები ანა ლოლაშვილისა და დალი ელი-საშვილის ხელმძღვანელობით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მადლობა გადაუხადა გმირი შვილების დედაებს ასეთი ვაჟკაცების აღზრდისთვის და მათ სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „ჩვენ როდესაც ამ ღონისძიებას ვეგზმავდით, თავისთავად, საუბარში გადაწყდა ამ დღის მიძღვნა გმირების დედეებისთვის. მიინდა, ქედი მოვიხარო ამ ადამიანების წინაშე. თქვენი ამაგი, თქვენი



გაგაკვირვებთ. ეს ჩვენი ვალი და ვალდებულებაა. მიმაჩნია, რომ სანამ ჩვენ თქვენი თავი გვემასხვრება, სანამ ჩვენ 9 აპრილის მემორიალზე პატივს მივაგებთ გმირებს, ყოველთვის გვემასხვრება ვისი გორისანი ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ. მჯერა, საქართველო კიდევ უფრო გაძლიერდება, გაბრწყინდება და ნათელი მომავალი გვექნება. ასევე მიინდა აღვნიშნო, რომ აფხაზეთის ომში დაღუპულ ვაჟკაცებს, რომლებიც ერთად არიან დაკრძალულნი, როგორც ძმათა სასაფლაოს შეეფერება, მათი განსასვენებლად.

მხარდაჭერით. ღონისძიება ცარო მარტიამ-ვილს მიჰყავდა.

„ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდიაო“ - ამბობდა ილია ჭავჭავაძე და ამასვე ამტკიცებდნენ საუკუნეების განმავლობაში ის ადამიანები, ვინც სამშობლოს თავი შესწირა. ამ ადამიანებმა სწორედ თავიანთი უბრალოებით, მაგრამ სულის სიდიადით დაგვამახსოვრეს თავი. სწორედ ამიტომ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ვისწავლოთ მათგან და



მათი საფიცარი ხატია და სამწუხაროდ, იგი ხშირად მოითხოვს მსხვერპლს.

15 აპრილს, დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში, სწორედ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავდადებულ გმირთა დედეებისადმი მიძღვნილი საგაზაფხულო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას, საპატიო სტუმრის სტატუსით, ესწრებოდნენ დედოფლისწყაროელი მამულიშვილების დედეები: ელი-საბედ აბიათარი - გიორგი აბიათარის დედა, მანანა ყაბანაშვილი - გორა ილუ-რიძის დედა, ალა ჩხაიძე-დავით ჩხაიძის დედა, ლარისა ღვებდაშვილი-ჯემალ ღვე-დაშვილის დედა.

საღამოზე მუსიკალური ნომრებით

თავდადება შეუფასებელია. ჩვენ ძალიან ცუდ დროს ვცხოვრობთ. დღეს თქვენი შვილების გმირობა და თქვენი დედობა, ასმაგად დასაფასებელია. ბოლო რამდენიმე ათწლეულში საქართველომ რამდენიმე ომი გადაიტანა და ამ პატარა ქვეყნისთვის, მისი შედეგები ძალიან მძიმეა. ეს ღია ჭრილობები და თქვენი შვილების მიერ გაღებული მსხვერპლი, გვაფრთხილებს, გვაფხიზლებს და სიფრთხილისკენ მოგვინოვებს. ჩვენი ვალია, გმირები არ შევარცხნიოთ. თითოეულ ჩვენგანში გენეტიკურადაა ჩადებული დედის სიყვარული. საქართველოში კი ეს განსაკუთრებულადაა გამოხატული. ის რომ ეს საღამოც ჩვენი დედოფლისწყაროელი გმირების დედეებისთვისაა, ამით ვერავის



ნებელი გაკეთდება და მოწესრიგდება“.

ღონისძიება გაიმართა დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს

ვასწავლოთ ჩვენს მომავალ თაობას, რომ „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სერი“.

✍ შუშუნა ყანაშვილი

აღდგომა და ბრადისიები

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/ მთაში, ძირითადად, ფშაში, იმართებოდა ხატობა, ზოგან „საწულე“ მიყავდათ, სამართლებრივი ხასიათის ნესებზე სრულდებოდა, მაგალითად: სამანის ჩასმა, ჭკდის ამოგდება, დარისხება (მთიულეთში). **გუდამაყრული** მხლოვანა საფუარიანი ცომის გუნდისთვის გულსართს შემდეგნაირად ამზადებენ: კარგად გარეცხილ ნედლი ჭარხლის ფოთლებსა და ქინძს კარგად დაკეპავენ და გახეხილ ჭყინტ ყველს გადაურევენ. აცხობენ მრგვალი ფორმისას. ნაზუქი და ნიგვზიანი ქაღებები სააღდგომო ტრადიციული ტკბილეულია. ქაღები გადახვეულია რულეტით და მას ნაღის ფორმას აძლევენ. გულსართად გატარებულ ნიგოზსა და შაქარს უდებენ, ან ერბოში მოხარშულ შაქარსა და ფქვილს. ზემოდან კი კვერცხის გულს გადაუსვამენ და ფურნეში აცხობენ.

ხევსურეთში აღდგომას აღესებას ეძახდნენ. ძველ ქართულში დამკვიდრებული და ფართოდ გავრცელებული სიტყვა იესოს ჯვარცმას და წინასწარმეტყველების აღსრულებას ნიშნავს.

ხევსურეთში აღდგომის მარხვის პირველ, მეოთხე და ბოლო კვირას, განსაკუთრებით, ბოლო დღეს, აღესების შაბათს ინახავენ. ამავე დღეს, აღდგომის წინა საღამოს, პატარა ვაჟები მარიამწმინდობის რიტუალს ასრულებენ. წინა დღეს მიწისგან თხრიან ხიფხოლას (მცენარე), თითო ტყვიას ხატში ხუცესს მიუტანენ და ლუღზე უტყლიან. ცომისაგან ჯვრის ფორმის „ვატს“, კვერბსა და პურს აცხობენ. დასტურსა და ხელოსანსაც ბავშვები ირჩევენ წილის ყრით. ოცდაათი წნელით გოდორს წნავენ, ჩალით ავსებენ, საჩაღიზე გააქვთ და გათენებისას, ცეცხლმოკიდებულს აგორებენ ფერდობზე. შემდეგ, ამგვარად ანთებულ „გუფინას“ უკან მისდევენ და ცდი-

ლობენ გადაახტნენ. გამარჯვებულს „სახელ-სახსოვარი“, 9 ხინკალი ეძლევა.

ყაზბეგში, სოფელ სნოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სამშობლოში ამ დღეს ახალგაზრდა ვაჟთა მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი იკრიბებოდა, რომელსაც სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი მთელ სოფელს მოივლიდა და აუცილებლად სოფლის მცხოვრებთა ყველა ეზოში შევიდოდა. ჭიშკართან ჯგუფის უფროსი ხმამაღლა იძახდა „ქრისტე აღდგა!“ რასაც ახალგაზრდები ჩვეული ქრისტიანული ნესით ერთდროულად პასუხობდნენ - „ჭეშმარიტად!“ მოსულთ ოჯახის წევრებიც გამოეგებოდნენ პასუხით „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! შეგენიასთ იმისი მაღლი თქვენცა და მთელს თქვენს ხევსა!“ ამის შემდეგ ოჯახის დიასახლისს შესანიშნავი გამოჰქონდა - წინასწარ შეღებილი სააღდგომო კვერცხი, რომელსაც ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ და ხმამაღლა იძახდნენ, ვის სახელზეც იდებოდა კვერცხი. პირველ შესანიშნავ მოხვედრეში ოჯახიდან შორს მყოფთათვის და მოგზაურთა სადღეგრძელოდ დებდნენ. მწკრივი დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები, უფროსის მიერ დადგენილი რიგის მიხედვით, მონაცვლეობით ესროდნენ ისრებს, მანამ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ბედნიერად ითვლებოდა ის, ვის სახელზე დადებული კვერცხიც პირველად გატყდებოდა. ხშირად შესანიშნავი კვერცხთან ერთად მოხვედრები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილით საერთო საზეიმო ტრაპეზი იმართებოდა, ფული კი აუცილებლად სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

მთაწმინდა

✍ ინგა შიოლაშვილი

სოფლებში საფლავები დაასუფთავეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში სასაფლაოები ხმალი გალახისა და ხის ტოტებისგან გაწმინდა.

სამუშაოები სოციალური დასაქმების პროგრამაში ჩართულმა მოქალაქეებმა შეასრულეს. მიცვალებულთა საფლავები თითქმის ყველა სოფელში გაიმშინდა. როგორც დასაქმების პროგრამის ქედების ზონის კოორდინატორმა შალვა ხორნაულმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სასაფლაოების დასუფთავება არა მხოლოდ წინასააღდგომო პერიოდში, არამედ მუდმივად, წელიწადში რამდენჯერმე მიმდინარეობს.



„სოფლებში ყოველთვის ვახდენთ საფლავების გაწმინდას. გვერი მიტოვებული ადგილია, რომელთა ახლო-გლევი ვერ ახერხებდა სოფლად ჩამოსვლას და მოვლას. ჩვენ მუდმივ რაჟიში ვართ წელიწადში რამდენიმეჯერ ვახდენთ სასაფლაოზე ველურად მზარდი მცენარეების და ხმალი გალახის გაწმინდას. ბავშვებს კველი თაიგულები. გოლო წლებში ასეთი მოვლილი სასაფლაოები არ ყოფილა,“ აღნიშნავს ხორნაული.

✍ ილია მარტყოფიშვილი

„ფიროსმანის სიყვარულში ჩაძირული ადამიანი“

ფიროსმანის მკვლევარის, ანზორ მაძლარაშვილის შესახებ ბიოგრაფიული ნიგნი გამოიცა. ნიგნის ავტორია ზემო მარჩხაანელი პედაგოგი ლამარა ჯანაშვილი, რომელიც ანზორ მაძლარაშვილის ბავშვობიდან იცნობს, მუზეუმში მისი თანამშრომელიც იყო და ბიოგრაფიულ ნარკვევზე მუშაობაც ერთობლივად დაიწყეს. ზემო მარჩხაანში დაიბადა და გაიზარდა ნიგნის გმირიც. გამოცემა მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული და ის დედოფლისწყაროს მერიამ დააფინანსა. ნიგნი დამსახურებული მოღვაწის ცხოვრებიდან გვერდსაინტერესო და უცნობ დეტალს გავაცნობს.

ლამარა ჯანაშვილი: „ზემო მარჩხაანში დაიბადე და გაიზარდე, იქ დავამთავრე სკოლა. ანზორ მაძლარაშვილს ბავშვობიდან ვიცნობდი. ერთ უბანში ვცხოვრობდით, ჩვენი სახლები გვერდიგვერდა და ხშირად ვხვდავდი, ასევე ჩემი დის ნათლია იყო. დაახლოებით 10-12 წლის წინ გადაწყვიტე მასზე ბიოგრაფიული ნიგნი გამოემცა და ამ ხნის განმავლობაში ვაგროვებდი მასზე მასალებს. როდესაც ზაფხულობით მშობლიურ სოფელში ვბრუნდებოდი, ანზორი საინტერესო ამბებს მიყვებოდა და ყველაფერს ვინიშნავდი. ასე რომ, ამ ნიგნზე მუშაობა მის სიცოცხლეშივე დაიწყო და მეტწილად მის ნაამბობს ეყრდნობა. როცა ჩანაფიქრი გავანდე, თავიდან ნიგნის გამოცემაზე უარი მითხრა, მაგრამ მაღლევ ჩაერთო. საინტერესო მასალას თუ ნაწყვეტებოდა, სიხარულით მომირბენი ნებდა ხოლმე. ჩანაწერებს, ძველ გაზეთებს ვაგროვებდით და ნელ-ნელა თავი მოვუყარეთ საინტერესო მასალას. შემდეგ, პირველად რომ გაათავისუფლეს, შეაჩერა თანამშრომლობა. როცა თანამდებობაზე აღადგინეს, ისევ შევუდექით საქმეს. თვითონვე აპირებდა ნიგნის დაფინანსებას, მაგრამ ბოლოს ისევ გაათავისუფლეს და აღარც ჯანმრთელობა უწყობდა ხელს. კიდევ მინდოდა მუშაობის გაგრძელება და მასალების მოგროვება. ვფიქრობ, რომ არ არის სრულყოფილი მასალა. დიდი არქივი აქვს სახლში და მეტი მუშაობა იყო საჭირო. მაგრამ რაც შეეძლო ესაა. სათაურზე დიდხანს ვფიქრობდი და საბოლოოდ შევარჩიეთ „ფიროსმანის სიყვარულში ჩაძირული ადამიანი“. ნიგნის რედაქტორია შალვა ამირანაშვილის შვილი გულბადი ამირანაშვილი, მან საუკეთესო წინასიტყვაობა გაუკეთა და სათაური სწორედ აქედან ამოვიღეთ.

წინასიტყვაობის შემდეგ ნიგნში მისი ბავშვობის წლები და პირველი ნაბიჯების ქვეთავები მოცემული. თემურ ჩალაბაშვილთან საუბრისას ანზორი ამბობდა, რომ მირზაანში მოხვედრით ჩემი ადგილის დედასთან მივედიო. შემდეგ უკვე ჩემთვის მოყოლილი ბავშვობის წლებია აღწერილი. საკმაოდ რთული ბავშვობა ჰქონდა, მეორე მსოფლიო ომი, გაჭირვება, ომისშემდგომი წლები. მამის ავადმყოფობაზე დედას რძე გაშრობია და თხის რძით გავიზარდეო. მშობლები პატარაობიდანვე შრომისმოყვარეობას აჩვენებდნენ. გვიამბობს, რომ ნათლიამ აზიარა ყაზბეგის შემოქმედებას. იხსენებდა, კითხვა და ლიტერატურა სწორედ ყაზბეგმა შემეყვარაო. ფული მოვაგროვე და ყაზბეგის ნიგნები ვიყიდეთო. ინსტიტუტის დამთავრებამდე ანზორს დაპირდნენ, მირზაანის სკოლაში მასწავლონაწილის შტატი თავისუფალია და იქ დავასაქმებთო, მაგრამ სოფელში რომ დაბრუნებულა, ეს ადგილი დაკავებული დახვდა და განაწყენებულა. მაშინ ზემო მარჩხაანში იბეჭდებოდა საკოლმეურნეო სასოფლო გაზეთი, რომლის რედაქტორი იყო ვარდო ნატროშვილი. მას ანზორისთვის უთქვამს, ნითელწყაროს რაიონულ გაზეთ „ახალ შირაქში“ ლიტერატურული მუშაკის ვაკანსია და მიმართეთ. ასე მოხდა ამ გაზეთის რედაქციაში. მრავალი წლის განმავლობაში ბეჭდავდა წერილებს სხვადასხვა თემებზე, შემდგომ უკვე მირზაანისა და ფიროსმანის ირგვლივ. მისი კრიტიკული კორესპონდენციები ბევრს ახსოვს. ვერ გეტყვითა სიყალბეს, სიძველესადაც უპატივისცემლობას, რელიგიური ძეგლების ნაბილწვას, კოლმეურნეობებში გამეფებულ მამულობას, ეს კი იმ დროინდელ სტანდარტებს სცილდებოდა და როგორც თავად აღნიშნავდა, ამის გამო მოუხდა გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქციის დატოვება. თუმცა, „შირაქში“ ამის შემდეგაც აქვეყნებდა წერილებს, ძირითადად ფიროსმანის და მირზაანის შესახებ. ასეთი

სტატიები მუზეუმის დირექტორობამდეც და მას შემდეგაც „შირაქის“ იმდროინდელ გვერდებზე მრავლად გვხვდება. მამის გარდაცვალებამდე გაზეთ „ახალ მარნეულშიც“ მუშაობდა. მუზეუმის ბაზაზე გამოსცა სპეცგაზეთი „ფიროსმანი“, რომელიც მთლიანად ნიკალას ეთმობოდა. უფრო ადრე კედლის გაზეთ „მუზას“ ვაკეთებდით, რომლის რედაქტორიც მე ვიყავი.

— როგორ მოხვდა ანზორ მაძლარაშვილი ფიროსმანის მუზეუმში, როგორ იხსენებს ამ პერიოდს?

— როგორც თავად ყვება, უმუშევრად დარჩენილმა ნითელწყაროს კულ-



ტურის განყოფილების გამგეს თენგიზ იაკობაშვილს მივაკითხეთ. შეგხვდი და ამ დროს გაირკვა, რომ მირზაანში მუზეუმში ხელმძღვანელის ვაკანსია იყო. მირზაანში მუზეუმი 1960 წელს დაარსდა და რაიონს ექვემდებარებოდა, თუმცა, ოფიციალურად 1963 წლის, 5 მაისს გახსნეს. პირველად მუზეუმს 1960-61 წლებში ხელმძღვანელობდა მასწავლებელი სოლომონ ჯანაშვილი. 1961-66 წლებში კი ანზორის დახმევამდე გიორგი ლაბიაშვილი. ნითელწყაროს რაიკომის მაშინდელ მდივანს ამირან გონაშვილს ანზორისთვის კარგი რეკომენდაცია მიუცია და ასე 1966 წლიდან დაიწყო მუშაობა მირზაანში, რომელსაც შემდეგ მისი „ადგილის დედა“ უწოდა. ამ დროს მსოფლიოში ნიკალას ცნობადობა და ფასი იზრდებოდა და ანზორი კი სულ ამბობდა, რომ ასეთი მუზეუმი ფიროსმანს არ ეკადრებოდა, ამიტომ ყველაფერს ცდილობდა მუზეუმის განვითარებისთვის. მუშაობდა რომ დაიწყო, მხოლოდ მე-მორიალური სახლი იდგა, არ იყო არც დარბაზი და არც ნამუშევრები. სულ 4 ორიგინალი ნახატი და რამდენიმე ექსპონატი დახვდა, ახლა კი მირზაანში 14 ორიგინალი და ათასობით ექსპონატი



ინახება, რომლის მოგროვებაც ანზორის დამსახურებაა. ჩემს ნიგნში ასევე დეტალურადაა მოთხრობილი, თუ როგორ მოიპოვა და მუზეუმის მფლობელობაში გადაიტანა ფიროსმანის 10 ორიგინალი. თითოეული მათგანის ისტორიაა გადმოცემული, თუ ვისთან ინახებოდა, როგორ მიაკვლია და როგორ წამოიღო ტილოები. ზოგმა შემოსწირა, ზოგიერთი იყიდა და ასე გაამრავალფეროვანა ფონდი. მან მირზაანი გადააქცია კულტურის ძლიერ კერად, სადაც აქტიური ცხოვრება იყო.

1966 წელს მუზეუმში მუშაობა რომ დაიწყო, მაშინ პირველ კლასში ვიყავი, მაგრამ მასსოვს, დეპლომატი თელში, განსხვავებული ჩაცმულობის კაცი, როგორ ჩაივლიდა უბანში. ფეხით მიდიოდა მეორე სოფლის ბოლოში, მუზეუმში. სულ მესმოდა მისი ღვანლის შესახებ. სკოლის პერიოდში რაიმე მქონდა მოსამზადებელი, ეს იყო თემების წერა, თუ სიტყვით გამოვსვლა მჭირდებოდა, ყოველთვის მას მივმართავდი და მესმარებოდა. აბიტურიენტობის პერიოდშიც მამეტყდინებდა,

სამსახურში გავლისას ქართულ ენასა და ისტორიაში დავალებებს მაძლევდა, საღამოს რომ ამოვივლიდა, ჩაბარებდა. ორივე სპეციალობაში ჰქონდა უმაღლესი განათლება და ეს ძალიან დამეხმარა. პირველ წელსვე უპრობლემოდ ჩავაბარე და მისი მაღლიერი ვარ. თელავში ვსწავლობდი ენა-ლიტერატურისა და ისტორიის ფაკულტეტზე. ახალი მუზეუმი 1979 წელს გაიხსნა, მე კი 1980 წელს ინსტიტუტის დამთავრებიდან 5 დღეში ფიროსმანის მუზეუმში დავინყე მუშაობა, ჯერ ექსკურსიამძღოლად, შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლად. მისი იდეა და სურვილი იყო იქ მემუშავა. ამით მან კარი გამიღო და ხელოვნების დიდ სამყაროში მომხვედრა. იქ ყველაზე საინტერესო წლები გავატარე. მითუმეტეს მაშინ ძალიან აქტიური კულტურული ცხოვრება იყო. ვხედავდი რამხელა სულისკვეთებით უძღვებოდა ამ საქმეს. ყოველ თვე ახალ ექსპოზიციას ვანწყობდით. თავადაც აქტიური იყო და თანამშრომლებისგანაც იგვევს ითხოვდა, მრავალი მიმართულებით. 1980-83 წლები მუზეუმში გავატარე, შემდეგ ძველ ანაგაში გავთხოვდი და ხირსის სკოლაში დავინყე ისტორიის მასწავლებლად მუშაობა. მაგრამ მალე სიღნაღში, ხორნაბუჯის ციხის ძირში ახალი სოფელი ხორნაბუჯი დაარსდა და სკოლის გახსნიდან დღემდე ხორნაბუჯის სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი ვარ.

იმ პერიოდში უპრეცედენტო იყო მუზეუმის მშენებლობაც, რადგან სახელმწიფოს ასეთი საგამოფენო სივრცის მშენებლობის გამოცდილება არ ჰქონდა. ანზორს დიდი ბრძოლა დასჭირდა, რომ ფიროსმანის ეზოში საგამოფენო შენობა აეგოთ. რომ არა მისი შეუპოვრობა, ქიზიყური სიჯიუტე და თავდადება, ალბათ ეს მუზეუმი ვერ აშენდებოდა. ყველაფერი გვერდით ჰქონდა გადადებული და მხოლოდ მუზეუმის განვითარებასა და ფიროსმანის ცნობადობის ამაღლებაზე ზრუნავდა. მისთვის მუზეუმი ყველაფერი იყო. საერთო საქმის კეთება აბსოლუტურ თავგანწირვას მოითხოვს და ანზორ მაძლარაშვილი სწორედ ასეთი იყო. მაშინ კომუნისტურ ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის ქვეყნებში განვითარების ხუთწლედები ჰქონდა გამოცხადებული. მეცხრე ხუთწლელი იდგა და ისეთი მიდგომა იყო, რომ არავითარი კულტურული ობიექტი არ უნდა აშენებულიყო. ამიტომ ანზორმა ეს მშენებლობა დაარეგისტრირა როგორც საკოლმეურნეო სახლი და მისი რეალური მიზანი რამდენიმე წლის განმავლობაში დამალული იყო. ამ კეთილტყუილში ანზორს მხარი ძალიან ბევრმა

პიროვნებამ აუბა, მათ შორის კულტურის მაშინდელმა მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა, ხელოვნების დარგის წარმომადგენლებმა, მწერალთა კავშირმა, ლადო გუდიაშვილმა. ასევე ნითელწყაროს ხელმძღვანელმა პირებმა. დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს. ის პირველი იყო, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა კულ-

ტურამ გამოცოცხლება დაიწყო, 1960-იან წლებში საქართველოში ჩამოიყვანა ფრანგი ხელოვნებათმცოდნე ჟან კეიმი, ფიროსმანის გააცნო და ამის შემდეგ გავიდა მისი შემოქმედება ევროპაში და გამოფენა გაიმართა საფრანგეთში, ლუვრის მუზეუმში. აქედან დაიწყო ფიროსმანის პოპულარობის ზრდა. ანზორმა მუზეუმის შენობის ნახაზი გააკეთებინა მირზაანელ გივი პოპიაშვილს, რომელსაც სამხატვრო განათლება ჰქონია. ამ ნახაზით მიადგა შალვა ამირანაშვილს, მან პროექტი მოუწონა, თუმცა ასაშენებლად საჭირო ფული არ იყო. როცა საბოლოო პროექტი მზად იყო, ფინანსები ისევ არ არსებობდა. სამინისტრომ უარი თქვა დაფინანსებაზე. ამ დროს ზემო მარჩხაანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იოსებ პაპაჩაშვილმა ანზორს უთხრა, რომ 40 000 მანეთი წამოიქონდა, „რადგან მირზაანში მარჩხაანს ეკუთვნის, ამაზე კარგ საქმეში რაში გამოვიყენებ, თუ რაიკომის მდივანი დთანხმდება, მუზეუმს გადავცემო“. მაშინ ნითელწყაროს რაიკომის მდივანი გურამ

ლოლაძე იყო და ცხადია დათანხმდა. ასე რომ, მუზეუმის ასაშენებლად პირველი თანხა ზემო მარჩხაანმა გაიღო. ეს რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო, მაგრამ საქმე დაიძრა და საძირკველის ჩასხმა მოხერხდა. ამ დროს ნებართვა გაიცემოდა მხოლოდ სამონადირეო და საკოლმეურნეო სახლების მშენებლობის შესახებ. ცეკას ბრძანებით კულტურული ობიექტის აშენების ნებართვას ვერ აიღებდნენ, ამიტომაც დოკუმენტებში ეწერა, რომ შენდებოდა საკოლმეურნეო სახლი. არქიტექტორი გახლდათ გურამ ბაქრაძე, რომელიც ღვანლის გამო ამავე მუზეუმის ეზოში დაიკრძალა. მშენებელი კი იყო ნითელწყაროელი ქალი ვალია გონაშვილი.

ანზორი ამჯერად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორთან დავით მჭედლოშვილთან შევიდა, მუზეუმის მშენებლობის გეგმაზე ესაუბრა და სთხოვა, ყურადღება მიაქციე ქიზიყსო. მან სამხატვრო აკადემიაში დარეკა. აკადემიის რექტორი იყო აპოლონ ქუთათელაძე, რომელსაც ცოლად ზდანევიჩის შვილი ჰყავდა. ამიტომ აკადემიამ დააჩქარა ეს პროექტი. მერე ანზორი პირდაპირ ფინანსთა მინისტრთან, ფარნაოზ ანანიაშვილთან შედის. საბედნიეროდ, ის ფიროსმანის შემოქმედების დიდი მოყვარული აღმოჩნდა და საქმე დაიძრა.

— ანზორ მაძლარაშვილის ძალისხმევით გაიხსნა თბილისში ფიროსმანის მუზეუმი და ის ცნობილი კიბე, რომლის ქვეშაც ნიკალა ცხოვრობდა...

— ამ ფაქტს მეც შევეცნარი. 1982 წელს, ერთ დღეს ქალაქის სახლმმართველობიდან ნოდარ დონაძე ძმასთან ერთად მირზაანში ჩამოვიდა. ანზორს გავეცნო და უთხრა, რომ თბილისში მალაქების ქუჩაზე პატარა ბინაა, რომლის კიბის ქვეშ ფიროსმანი ცხოვრობდა და იქნებ დაინტერესდეთ. მეორე დღესვე ანზორი თბილისში წავიდა. წავიდა კი არა, გაიქცა, ყველაფერი მოიკვლია. რაიკომის თავმჯდომარე იყო არტემ აზიროვი, ხოლო ჩუღურეთის განათლების განყოფილების გამგე სულიკო მელაძე, ისინიც დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ ამ საქმეში. ხელისუფლების დახმარებით შეძლეს, რომ ოჯახი გაესახლებინათ, მათთვის ბინა მიეცათ და ამ ფართში მუზეუმი გახსნილიყო. მქონდა პატივი, რომ თბილისის მუზეუმში პირველი ექსკურსიამძღოლი მე ვყოფილიყავი. მირზაანიდან წამოვიღეთ გარკვეული ექსპონატები და პატარა ფართში ამოქმედდა მუზეუმის ფილიალი.

— რატომ გაჭიანურდა თქვენი ნიგნის გამოცემა და საბოლოოდ როგორ შეძელით ამ მასალის გამოქვეყნება?

— ამ ბიოგრაფიული ნარკვევის გამოცემა მრავალი წელია მიწვდოდა, მაგრამ მეუღლე გარდაცვლილი მყავს და მხოლოდ პედაგოგის ხელფასით ვერ შევძელი. თან ფერადი ფოტოსურათებით მიწვდოდა და მაღალპოლიგრაფიული ბეჭდვა ძვირი სიამოვნებაა. რომ არა დედოფლისწყაროს მერი, ამ საქმეს კიდევ დიდხანს ვერ შევძლებდი. გასულ წელს, ზემო მარჩხაანში ანზორის დაკრძალვას ესწრებოდა დედოფლისწყაროს მერი და სოფლის მაჟორიტარი ვანო ექიმი, ისიც კარგად მიცნობს. მაშინ გავებდე და მერს ვთხოვე, რომ მზად მქონდა მასალები და თუ საჭიროდ ჩათვლიდა, გამოცემაში დამხმარებოდა. დამპირდა და რამდენიმე თვეში აასრულა კიდევ... მისგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი. დაპირებებს ბევრი თანამდებობის პირი გასცემს, მაგრამ ხშირად ვერ ასრულებენ. მითუმეტეს საგამომცემლო საქმეს არ სწყალობენ ხოლმე... თუმცა, დედოფლისწყაროს საუკეთესო მერი ჰყავს, კარგად იცნოდა ამ ნიგნში თავმოყრილი ინფორმაციის მნიშვნელობას და ამ ნიგნის გამოცემით ჩვენ ანზორ მაძლარაშვილის ღვანლი კიდევ ერთხელ დავაფასეთ. ამისათვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მის თანამშრომლებს. მერს უკვე ვესტუმრე, ნიგნები მივუტანე და მადლობა პირადად გადავუხადე, ამას გარდა, 14 აპრილს, დედა ენის დღესთან დაკავშირებით ტელეარდიოკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში ამ ნიგნის ტელე პრეზენტაცია შედგა. მერმა მთხოვა, რომ პრეზენტაცია დავგეგმოთ დედოფლისწყაროშიც, უახლოეს მომავალში, საგარეულოდ, მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში მოეწყობა. ასე რომ, თქვენთან საუბარსაც იმ წინადადებით დავასრულებ, რითაც ნიგნს ვამთავრებ: „საკითხავია, გამოუჩნდება კი ფიროსმანს ასეთი გულანთებული, მართლაც სანთილი საძებარი გულმემატკივარი?!“...

✎ ილია მარტყოფილიშვილი

ნიკოლოზ ჯანიაშვილი წარმატებულ სტუდენტს შეხვდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მარიამ სამუკაშვილი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ევროკავშირის ახალგაზრდა ელჩია, ასევე მარიამმა სტრასბურგში ევროსაბჭოს მოდელირებაზე საქართველოს პოზიცია ღირსეულად წარმოაჩინა. მან 2023 წლის სექტემბერში მონაწილეობა მიიღო ესპანეთში გამართულ გაეროს ახალგაზრდულ ფორუმში. 2024 წლის ივნისში კი გაეროს ახალგაზრდულ ფორუმში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზშიც მონაწილეობდა. მარიამ სამუკაშვილი ახლახან დაბრუნდა ნიუ-იორკიდან, სადაც გაეროს მსოფლიო ყველაზე პრესტიჟულ ახალგაზრდულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა წარჩინებულ სტუდენტს, დედოფლისწყაროელ მარიამ სამუკაშვილს სამუშაო კაბინეტში უმასპინძლა. წარმატებულ ახალგაზრდას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისგან საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადაეცა.

მარიამ სამუკაშვილი: „ნიუ-იორკიდან დაბრუნების შემდეგ შეხვედრა მექონდა მერთან, ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილთან. ვისაუბრეთ გაეროს შტაბბინაში გამართულ ახალგაზრდულ კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობა მივიღე და რომლის ფარგლებშიც



ბმიც მთავარი აქცენტი კლიმატის ცვლილებასა და პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობაზე კეთდებოდა. მერმა გულწრფელი დაინტერესება გამოხატა, როცა იმ გამოცდილებებზე

ვსაუბრობდი, რაც ამ რამდენიმე წლის მანძილზე შევიძინე. გავისხენეთ ჩვენი წინა შეხვედრაც, მაშინ, როცა ევროსაბჭოდან 2023 წელს ჩემი პირველი საერთაშორისო კონფერენციიდან დაგებრუნდი. დღეს, ორი წლის შემდეგ, იმავე მაგიდასთან, იმავე თემაზე საუბარი უკვე სხვა გამოცდილებითა და უფრო მეტი ცოდნით შემეძლო. ის, რაც სრულიად მოულოდნელად დაინახე 2023 წელს ევროსაბჭოს მოდელირებით, გადაიზარდა ბევრად საინტერესო და შთამბავებელ თავგადასავალში, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა, როგორც პროფესიულად, ისევე პიროვნულად.

ბატონმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა შეხვედრის დასასრულს პერსონალური კომპიუტერით დამაჯილდოვა, რომელსაც სწავლისთვის და განვითარებისთვის გამოვიყენებ. ეს ჩემთვის ძალიან სასიხარულო

რეზიუმე იყო. მერისგან დაფასებას აქამდეც ყოველთვის ვგრძნობდი და მას ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით კიდევ ერთხელ. დამატებითი სტიმული და მოტივაცია გამიჩნდა ჩემი საქმიანობის უფრო სხვა საფეხურზე გაგრძელებისთვის. ასეთი დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის. როცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი გისმენს, გითვალისწინებს და შენს შრომას აფასებს, ეს გაძლევს იმ შინაგან ძალას, რომ იმუშაო მეტი ენთუზიაზმით, იფიქრო უფრო დიდ გეგმებზე და თამამად იმოქმედო მათ გასახორციელებლად. საბოლოო ჯამში შეხვედრა ძალიან თბილი და დასამახსოვრებელი გამოვიდა.

ვფიქრობ, იმ საზოგადოების ნაწილი, სადაც ახალგაზრდას უჭერენ მხარს, უსმენენ და აფასებენ, აუცილებლად განვითარდება და წინ წაიწევს. ყველას ვუსურვებ, რომ იპოვონ საკუთარი გზა და მიზანი ამ ცხოვრებაში, თამამად გაუმკლავდნენ სირთულეებს, მიიღონ განათლება, გახდნენ აქტიური მოქალაქეები. მნიშვნელოვანია, რომ მათი შრომა არ დარჩეს დაუფასებელი. იმედი მაქვს რომ მომავალში ბევრი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდა ჩაერთვება ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში“.

დედოფლისწყაროელი ახალგაზრდაები საერთაშორისო კონფერენციებზე

ორი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდა ახლახან აშშ-ში გამართულ გაეროს ახალგაზრდულ კონფერენციაში მონაწილეობდა. პრესტიჟული კონფერენცია ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში შედგა. მარიამ სამუკაშვილი და ლუპა ნასრაშვილი შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ.

მარიამ სამუკაშვილი: „უნივერსიტეტში ჩაბარების პირველივე წლიდან დავესწი საერთაშორისო დონის ისეთი შესაძლებლობების აღმოჩენას, რომლებიც საშუალებას მომცემდა კონკრეტული საგნების სწავლასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება მიმეღო. 2 წლის წინ განაცხადი გავგზავნე ევროსაბჭოში ახალგაზრდულ კონფერენციაზე. ეს ჩემი პირველი მცდელობა იყო მსგავსი ტიპის აქტივობაში, ამიტომ თავდაპირველად ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ამარჩევდნენ. მაგრამ, საბედნიეროდ ყველაფერი სასიკეთოდ განვითარდა და 2023 წლის 12 ივლისს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დარბაზში სიტყვით გამოვიდი. კონფერენციის დასასრულს, ევროსაბჭოში 2 ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლები მომიახლოვდნენ და მიჩიეს, ჩემი პოტენციალი მომავალშიც მაქსიმალურად გამოვიყენებინა.

ამის შემდეგ, 2023 წლის სექტემბერში, კონფერენციაზე მონაწილეობა მივიღე ბარსელონაში, გაეროს მოდელირებაში, რომელიც ადგილობრივ სტუდენტურ ასოციაციასთან პარტნიორობით გაიმართა. ჩვენი ერთ-ერთი დეპუტატის მთავარი თემები ორი უმნიშვნელოვანი გლობალური პრობლემა იყო: კლიმატის ცვლილება და ცეცხლსასაფრის იარაღით ძალადობა. კონფერენციაზე ჩვენ ვიმსჯელებდით იმაზე, თუ როგორ შეიძლება გადაიჭრას კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული საფრთხეები, რომლებიც ყველაზე მეტად ბავშვებზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ახდენს ზეგავლენას. ასევე ვიდებუბით შეიარაღებული კონფლიქტების დროს იარაღით ძალადობის ფსიქოლოგიურ გავლენასთან დაკავშირებით და კიდევ ერთელ დავრწმუნდით, რომ ფსიქოლოგიური დახმარების გაძლიერება და იარაღის რეგულაციის მკაცრი პოლიტიკაა ძალადობის ფაქტების შემცირების უმთავრესი გამოსავალი. მესამე კონფერენცია უკვე 2024 წელს პარიზში, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან თანამშრომლობით ჩატარდა. დავნერეთ რეზოლუცია ადამიანის უფლებების დაცვასა და კლიმატის ცვლილებებისგან გამონეულები ზიანის შემცირებასთან დაკავშირებით.

ჩემს ბოლო კონფერენციაზე მონაწილეობის შემოთავაზება აშშ-სგან მივიღე. გასაუბრება ჩამიტარეს, რომელიც ნახევარ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, რის მიხედვითაც უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ფორუმისთვის მისაღები კანდიდატი ვიყავი. მალევე დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ 15000-მდე მსურველიდან გამომარჩიეს რამდენიმე მათგანში და მონაწილეობის დასტურის გარდა, ორგანიზატორებმა დამიფინანსეს ნიუ იორკის ხარჯები, გამიხსნეს უფასო და ულიმიტო წვდომა გაეროსთან დაკავშირებით შექმნილ ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან და სრული დიპლომა-

ტიური მხარდაჭერა გამომიცხადეს. სანამ ჩემს თავს მსგავსი ტიპის კონფერენციებზე სრულად ამოვწურავდი, მინდოდა, რომ ბოლო განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი ყოფილიყო. საბედნიეროდ, ეს სურვილი რეალობად მექცა და ეს საოცარი ორწლიანი თავგადასავალი ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში ჩემი გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

ამ ორი წლის განმავლობაში უამრავი გამოცდილება, ცოდნა, მოგონებები და ახალი მეგობრები შევიძინე. მაქსიმალურად დავრწმუნდი, რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა გლობალური გამოწვევების გადაჭრაში. ჩვენ, როგორც ახალი თაობა, უნდა ვიყოთ აქტიური მონაწილეები, რადგან მომავალი ჩვენს ხელშია. უმეტესწილად, ეს კონფერენციები მიზნად ისახავდა არა მარტო მსოფლიო პრობლემების განხილვას, არამედ ახალგაზრდების, როგორც დიპლომატების, ლიდერებისა და რეალური ცვლილებების განხორციელების მსურველ პიროვნებებად ჩამოყალიბებას. თითოეული დელეგაცია თავისი ქვეყნის ინტერესებს და პრობლემებს წარმოადგენდა, მაგრამ მიზანი ერთი იყო, საერთო გადაწყვეტილების მიღება. ერთმანეთისგან სწავლა, განსხვავებული იდეების გაზიარება და სხვადასხვა კულტურის უკეთ გააცნობა, სიმართლე რომ გითხრათ, ერთ-ერთი ყველაზე ღირებული გამოცდილება იყო ჩემთვის. მომავალში ჩემი მიზნების განხორციელებას უფრო მაღალ საფეხურებზე ვგეგმავ“.

ლუპა ნასრაშვილი: „ბავშობიდან ჩემი დიდი სურვილი იყო, სწავლა დამეწყო ამერიკულ უნივერსიტეტში. მინდოდა ასეთ წარმატებულ ხალხთან დამეწყო ურთიერთობა და მათ შორის მოვეხვედრილიყავი. დედოფლისწყაროს №1 სკოლა დავამთავრე, ბავშობიდან მინიჭებდა აიტი პროფესია და სულ მაინტერესებდა როგორ იქმნებოდა ვებ-საიტები. მივალწიე იმას, რომ დღეს უკვე თამამად შემიძლია ინტერნეტ გვერდების დამზადება, თუ აპლიკაციების კოდის დანერგა და შემდეგ მისი სამუშაოდ გამვცე. დაინტერესების შემდეგ ჩემით მომივიდა იდეა, გავიზარე და დავესწი სწავლა. შიდა სამზარეულო და ეს პროფესია ყოველთვის მაინტერესებდა, სხვა სპეციალობაზე ალარც მიფიქრია და პანდემიის პერიოდში აქტიურად დავინყე

სწავლა. ინგლისური სავალდებულოა და მთელმეტყველო საბაზისო დონეზე. დანარჩენში ლოგიკა მეხმარება და იმის ათვისება საჭირო, თუ როგორ უნდა დანერგო საიტის შიგთავსი. ძალიან გამომადგა ქართული ენა და ლიტერატურა, რომელიც ჩემი მასწავლებლს დამსახურება. ასევე მიყვარდა ისტორია და გეოგრაფია. სკოლის შემდეგ დავინყე იმის მოძიება თუ რომელი აკადემია შემიძნალებოდა კონკრეტულ განხრას პროგრამირებაში. თანაც ამ დროს უკვე კოვიდპანდემია დემთხვა და სწავლა დავინყე აიტი აკადემია „ნაბიჯში“. შემდეგ კიდევ გავეგრძელე სმარტ აკადემიაში. ამის შემდეგ ჩემი ამერიკული ოცნება ასრულდა. სმარტ აკადემიის ელჩად ვარ წარდგენილი დედოფლისწყაროდან და იმედი, ამირჩევენ. აქაურმა კოლეგმა საშუალება მომცა წარმატებულ სტუდენტებთან ჩემი შესაძლებლობები, გეგმები და მიზნები გამეზიარებინა. გაეროში მოხვედრა ყველა წარმატებული ადამიანის ოცნებაა, ეს ოცნება ამერიკამ ამისრულა. ამჯერად, გაეროს კონფერენციაზე სტუდენტებმა თავისი მოსაზრებები წარადგინეს, ისაუ-

ბრეს გეგმებსა და პერსპექტივებზე. გამომსვლელები ქვეყნების მიხედვით იყო წარდგენილი. კონფერენციაზე მეც ვისაუბრე, განვიხილეთ, თუ რომელ ქვეყნებს რა საჭიროებები აქვს, სამომავლოდ როგორ შეიძლება სხვადასხვა პრობლემებზე, თუ წარმატებულ პროექტებზე მსჯელობა და დებატები. ქართული დელეგაცია იყო, დედოფლისწყაროდან მხოლოდ მე ვიყავი, თუმცა სხვა დღეებში ვიცი, რომ მარიამ სამუკაშვილიც მონაწილეობდა, თუმცა გადაკვეთა არ გვექონია.

უკვე ორი წელია ამერიკაში ვცხოვრობ, 4 წლიან სწავლებას გავივლი. ამით, რა თქმა უნდა, ნდობას მოვიპოვე და ახალ ისტორიას დავწერ ჩემი რეგიონისთვის და სამშობლოსთვის. ამას გარდა, „კინგსბოროუ“ ამერიკულ კოლეჯში ვაგრძელებ სწავლას და ვგეგმავ სამომავლოდ პროგრამირების საკუთარი კომპანია შექმნა ამერიკაში. რა თქმა უნდა, დედოფლისწყაროს მომავალი თაობისთვის ეს დიდი პერსპექტივაა. სმარტ აკადემია ყველა რეგიონით მათ შორის ჩვენი დედოფლისწყაროთიც ინტერესდება და მალე დაიწყება შეხვედრები. მეც შეთავაზებას დავთანხმდი, ვფიქრობ, ძალიან ნაყოფიერი შეხვედრები იქნება.

აშშ-ში მოხვედრამ ჩემში დიდი სიხარული და კიდევ უფრო დადებითი მუხტი გამოიწვია. ემოციების გარდა, მივიღე დიდი გამოცდილება და კიდევ ერთხელ დამაფიქრა იმ უმთავრეს ოცნებებზე, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნე. აქ კიდევ უფრო უკეთესად გავიზარე, რომ შეუძლებელი არაფერია. ეს ქვეყანა გვარწმუნებს, რომ ყველაფერი შესაძლებელია, რასაც ადამიანი მოინდომებს. ბავშობიდან სტიქაროსანი ვარ და სურვილი მაქვს, ამ რელიგიური განათლება მივიღო და ცოდნა გავიღრმავო. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ სულიერი ცხოვრება წარმატების გზაზე ძალიან მეხმარება. ამერიკაში ჩამოსვლისთანავე ჩემი მიზანი პირველ რიგში იყო, რომ არ დამეწყებოდა ეკლესიის გზა, ზუსტად ამ დროს გამოჩნდნენ ახალგაზრდა მღვდელ - მონაზვნები, მათი გაცნობა და მათთან სტიქარით მსახურება დიდი ხანი მსურდა, ეს ჩემი ერთ-ერთი ოცნება იყო და ღმერთმა აშშ-ში ეს ოცნებაც ამისრულა, ამიტომ მაღლივი ვარ ღმერთის ყველაფრისთვის რაც გამაჩნია. დევიზად მაქვს: „უფლის ინამე მარად“.

აქ ბევრი ქართული სამრევლოებია, მაგრამ მე მანჰეტენის წმ. მარიამ ეგვიპტელის ქართულ სამრევლოში დავდივარ, სადაც მრავლად იკრიბებიან ქართველები. ძალიან მორწმუნე მრევლია და მეგობრული გარემოა. თვითოეულ მათგანს უხარია ერთმანეთის წარმატება. ჩვენთან ასევე ამერიკელი მართმადიდებლები ატრებენ ინგლისურენოვან წირვებს, საოცარი მოსასმენია, როდესაც დიდ დღესასწაულებზე ერთობლივი წირვის დროს ქართულ-ინგლისურ ენაზე სრულდება წირვა. ყოველ კვირა ეს საზრდო ყველაზე დიდ მოტივაციას გვაძლევს და მათ შორის მეც, რომ გავძლიერდე და მაქსიმალური გავაკეთო ჩემი მიზნებისთვის. რაშიც სამრევლოს მოძღვრები გვერდში გვიდგანან და უფლის მფარველობა მოდის“.

ილია მარტყოფიშვილი



გოგონათა გუნდმა კახეთის პირველობა მოიგო

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში 5 აპრილს ქ. ყვარელში, „ილიას ტბაზე“, რეგიონული შეჯიბრი გაიმართა მინი ფეხბურთში. ოლიმპიადაზე წარმატებით იასპარეზეს დედოფლისწყაროს ფეხბურთელმა გოგონებმა, რომელთაც კახეთის პირველობა მოიგეს და გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ვაჟთა კატეგორიაში I ადგილი დაიკავა ლაგოდეხის პირველმა საჯარო სკოლამ, II ადგილზე გავიდა სოფ. გავაზის საჯარო სკოლა. გოგონებს შორის I ადგილი დაიკავა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლამ, ხოლო II ადგილზე გავიდა ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლა. შეჯიბრში გამარჯვებულ მონაწილეებს სიგელები და თასები გადაეცათ.

გოგონების მწვრთნელი ზურაბ ჩალაბაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ეს ახალგაზრდები საკმაოდ პერსპექტიული მოთამაშეები არიან და სადაც წავიდნენ ყველას მოწონებას იმსახურებენ. მწვრთნელი მათზე დიდ იმედს ამყარებს და ცდილობს წარმატებებში ხელი შეუწყოს.

„სასკოლო ოლიმპიადის ფარგლებში საკმაოდ წარმატებული შეხვედრები გავმართეთ. დედოფლისწყაროს გოგონათა გუნდი, თავდაპირველად, ლაგოდეხის გუნდს შეხვდა, სადაც 11:5 ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს. შემდეგ უკვე შეხვედრენ აფენის გოგონათა გუნდს, რომლებიც ასევე დამარცხეს და ანგარიში 2:0, ჩვენს სა-

სარგებლოდ დასრულდა. ფინალში, კახეთის რეგიონულ პირველობაზე ფიროსმანის საჯარო სკოლის გუნდი შეხვდა ახმეტის გოგონათა გუნდს, რომელიც სხვათაშორის საკმაოდ ძლიერ გუნდად მიიჩნევა ჩვენს რეგიონში. ამის მიუხედავად, ჩვენმა გუნდმა კარგი თამაში აჩვენა და მათი დამარცხება მოახერხა ანგარიშით 3:0. ასე გავიდნენ ჩვენი გოგონები პირველ ადგილზე და კახეთის პირველობის გამარჯვებულები გახდნენ. ახლა ისინი მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ ზონალურ პირველობაზე, რომელიც რამდენიმე კვირაში თბილისში ჩატარდება.

ჩვენს გოგონათა გუნდში ძირითადად ფიროსმანის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან, თუმცა გვყავს რამდენიმე ქალაქ დედოფლისწყაროდან და სოფელ ოზაანიდან. საკმაოდ ეფექტურად აითვისეს ეს სპორტი, ენთუზიაზმი აქვთ. 2020 წლიდან დაიწყეთ გოგონების ვარჯიში. ბევრ თამაშზე ვიყავით, ვმონაწილეობდით მასტერლიგაში, მოყვარულთა ლიგაში და ყველგან კარგი შედეგი დადეს. ბევრ მწვრთნელს



უთქვამს, ახლოს მაინც ცხოვრობდითო. რამდენიმე დღის წინ ანა ზირაქიშვილი, ანა ბლიაძე და ოზაანიდან ხატია თარაშვილი რუსთაველი წავიყვანე. ეს გუნდი მეორე ლიგაში თამაშობს და მათმა მწვრთნელებმა და მენეჯერებმა შეხედეს ჩვენს შესაძლებლობებს. ჩვენები ასაკით პატარები არიან, მაგრამ მაინც აპირებენ მათ აყვანას. სინჯვებზე მოეწონათ და სამივე უნდათ რომ მათთან ათამაშონ. რადგან აქ სწავლობენ, ქალაქში ევრილიან, ამიტომ ადგილზე მე მოვამზადებ და მხოლოდ თამაშებზე წავლენ. ჩემთვისაც რთულია მათი გაშვება, მაგრამ წარმატებებისთვის და მეტი ასპარეზისთვის საჭიროა. დაგვაიმედეს: იმდენად ძლიერები არიან, ასაკობრივ ნაკრებში მოხვედრასაც შეძლებენო“ – გა-ნაცხადა მწვრთნელმა ზურაბ ჩალაბაშვილმა.

ილია პარტყოფიშვილი

რა ხდებოდა საუკუნენახევრის წინ დედოფლისწყაროში? საუკუნის ამბები

„1886 წელს სიღნაღის მაზრაში 4 საკუთარი სოფელი ჰქონდათ რუსებს. ერთ-ერთია „ცარსკიე კოლოდცი“, სადაც აღწერილია 210 კომლი, 969 სული“ — ეს წინადადება იმდროინდელ ქართულ გაზეთებშია გამოქვეყნებული. ანუ დედოფლისწყაროს მოხსენიება თავდაპირველად ისე დაიწყო, როგორც რუსული სოფელი. პრესა ძირითადად „ცარსკიე კოლოდცი“ წერდა, თუმცა, მალევე ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებული ქართული გაზეთები „ივერია“ და „დროება“ რუსულად მოხსენიებას უწოდებდა და პირდაპირ დედოფლისწყაროს უწოდებდა. ეს გაზეთები ქიზიყური სოფლების ცხოვრებას ხშირად აქვეყნებდნენ. მათ შორის იბეჭდებოდა ადგილობრივების წერილები, სადაც იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება იყო გადმოცემული.

როგორ და ვის მიერ, ან რატომ ეწოდა დედოფლისწყაროს თუქურმიშა, ამის შესახებ ჩანაწერები მოიპოვება საარქივო ხელნაწერებში, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის მიერაა გაკეთებული. ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ირგვლივ მუღალეები მოშენდნენ და მათი შერქმეულია თუქურმიშა. გთავაზობთ ციტატას:

„უფადარი ადგილი ყარაღაჯ-დედოფლის წყაროდგან იორისა და ალაზნის შესართავამდე მე-XIII საუკუნიტგან იწოდა უვადარად და ამ არე-მარეს მოშენდა მუღალთა (მონგოლთა) სოფლები ფარდარლო, მუღანლო. ამ მუღალთ დედოფლისწყაროს უწოდეს თუ-

ქურმიშა“ — ნათქვამია ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერის მიხედვით 1904 წელს გამოცემულ წიგნში.

საუკუნოვან ქართულ გაზეთებში, რომლებიც ეროვნული ბიბლიოთეკის საცავებში საგულდაგულოდაა შემონახული, იმის ამოკითხვაცაა შესაძლებელი, თუ რომელ წელს რამდენი მოქალაქე სახლობდა დედოფლისწყაროში შემავალ ცალკეულ სოფლებში.

1919 წელს კი შედგა არჩევნები, რომლის შედეგებსაც დამოუკიდებელი საქართველოს იმდროინდელი ყოველდღიური ქართულენოვანი გაზეთები აქვეყნებდნენ. მოცემულია არჩევნების შედეგების ოქმი, სადაც დედოფლისწყაროს მაშინდელი სოფლების მონაცემებია ასახული. ეს ინფორმაცია საინტერესოა იმდენად, რომ წარმოვიდგინოთ, ერთი საუკუნეზე მეტი ხნის წინ რამდენი ამომრჩეველი ცხოვრობდა ამა თუ იმ სოფელში და რა არჩევანი გააკეთეს ახლადდამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოში:

დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები სიღნაღის მაზრის სოფლებიდან
ზამო მაჩხაანში იყო 1875 ამომრჩეველი, №1-ს ხმა მისცა 1762, №5—ს 60;
არაგოშიკი — 1109 ამომრჩეველი, №1—ს ხმა მისცა 63, №5—ს 460;
მირზაანი — 1556 ამომრჩეველი, №1—ს ხმა მისცა 1258, №5—ს 367;
ოზაანი — 654 ამომრჩეველი, №1—ს ხმა მისცა 312, №5—ს კი 60-მა.

ილია პარტყოფიშვილი

სსოვნა

ქეთევან ტალიაშვილი-ბენაშვილი



ქეთევან ტალიაშვილი-ბენაშვილისა და იბადა ძველანაგაში. თავისი შრომითი საქმიანობა კოლმეურ-ნეობაში გაატარა.

ჰქონდა მადლობები და სიგელები, იყო თავდადებული დედა და მეუღლე. ზაქარია ბენაშვილთან ერთად გაზარდა 4 შვილი, თინა, მარინა, ვენერა, რობა. დატოვა 6 შვილიშვილი და 10 შვილთამ-ვილი. მართალია ახალგაზრ-დამ, 40 წლის ასაკში დავეტო-ვა ტრაგიკული შემთხვევის

გამო და ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მიუხედავად ამისა ყველაფერი გააკეთა თავისი ოჯახისთვის. ოჯახის წევრებს და ახლობლებს ყოველთვის გვახსოვხარ. შენს კეთილ საქმეებს აგრძელებენ შენი შთამომავლები. შენს სსოვნას დავინყებთ არ უწერია. ღმერთმა ნათელში გამ-ყოფოს.

„მე ამ წუღ გზას ავცდებოდი, დედა ან მოგიკვდებოდი, იმ უიღბლო შემთხვევისას, რომელსაც არ ჩავგარდნოდი. ამ დღით თქვენმა კოსტა ქეთიმ აიწია გზა და კვალი იმ ურისკო მძღოლის სეულში გადაეშვა ღრმა ღელეში“.

რობა და ქეთი ბენაშვილები ოჯახით

მონატრება

ოთარ ნიკვაშვილი

ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენო ოთარ, იმქვეყნად გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. შენი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს დრო ვერ აფერმკრთა-ლებს, მონატრება უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდება. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ეს ტკივილი მეტად მძაფრდება, რადგან სწორედ წითელ პარასკევს გა-დაინაცვლე ზეციურ სამყაროში.

არადა, როგორ გიყვარდა გაზა-ფხული, შენს დაბადების დღეს ხომ წელიწადის ამ დროს აღვნიშნავ-დით-ხოლმე, 21 მაისს. ყველანი ბედნიერები ვიყავით ერთმა-ნეთის სიხარულის გაზიარებით, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ბედნიერება და შენი სიცოცხლის წლებიც.

21 მაისს კვლავ მოვა შენი დაბადების დღე, მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინ-თებთ სანთლებს და იქ მოგილოცავთ შეუსრულებელ 65 წელს.

გვენატრები ყველას, ჩვენ, შენს დედამამიშვილებს, შვი-ლებს, რომლებიც შენი გვარის ღირსეული გამგრძელებლები არიან. სანამ ჩვენ ცოცხლები ვიქნებით, შენს სახელს დავინყე-ბა არ უწერია, ჩვენო ოთარ. ღმერთს ვთხოვთ, სასუფეველი დაგიმკვიდროს და ნათელში ამყოფოს შენი ალაღმართალი, კეთილი სული.

შენი და, ქეთი ნიკვაშვილი-ბენაშვილისა



შვილები: მანანა, მარიკა, მაია, არჩილ ჩაფიაშვილები, რძალი მზია წყარუაშვილი, შვილიშვილები ლევან ხუციშ-ვილი, ქეთევან და გიგა ჩაფიაშვილები, იუნყებიან, რომ გარდაიცვალა

ციციწო გარონდის ასული ვარაქა-ჩაფიაშვილი.

ერთი კადრი წარსულიდან

1966 წ. ქალაქ წითელწყაროს ცენტრალური ქუჩის გაზაფხარედი, (ახლანდელი ჰერეთის ქუჩა) ფოტო დაცულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.



კოლეჯი „აისი“ აცხადებს მიღებას 2025-2026 სასწავლო წლისთვის

სსიპ კოლეჯი „აისი“-ს დედოფლისწყაროს ფილიალში დაიწყო რეგისტრაცია 28 აპრილიდან 20 მაისის ჩათვლით შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ინჟინერიის მიმართულება:

1. ელექტრომობა – III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 9,5 თვე)
2. შეღებვა – IV დონე (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი)

ხელოვნების მიმართულება:

1. თმისა და სილამაზის მომსახურება – III დონე (ხანგრძლივობა 10,5 თვე)
2. თეატრის დამზადება – III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 13,5 თვე)

ჩარიცხვა ხდება გასაუბრების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. მე-3 დონის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს საბაზო ზოგადი განათლების, სრული ზოგადი განათლების ატესტატი ან უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი. მე-4 დონის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაცია შეუძლია სრული ზოგადი განათლების ატესტატით ან უმაღლესი სასწავლებლის დიპლომით.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- 2 ცალი ფოტო სურათი /ზომით 3X4/; პირადობის მოწმობის ასლი; განათლების მოწმობის ასლი; განცხადება /ადგილზე შევსებით/

საბუთების მიღება დაიწყო! იჩქარეთ!

დანვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ კოლეჯში, მისამართზე:

დედოფლისწყარო, სოფელი სამრეკლო (ყოფილი ჯაფარიძე) ტელ: 577 557 159; 577 962 967



„ნეოლაბი“ — გიწვევთ!

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალში უახლოეს გაიარეთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.

დერმატოლოგის, ინფექციონისტის, ექოსკოპისტის, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

დერმატოლოგი და ინფექციონისტი – 25 აპრილი;

გასტროენტეროლოგი, გინეკოლოგი, ექოსკოპისტი – 26 აპრილი;

კონსულტაცია ფასიანია

ჩანერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:

0 (356) 20 00 85 ან 596 39 20 00.

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.



მაია მარაბოტაშვილი
დერმატოლოგი



თამარ მგალაძე
გასტროენტეროლოგი



მაია ბუმბაძე
ინფექციონისტი



სოფო ალაშვილი
ექიმი - ხალოლოგი



დავით სინიტაძე
გინეკოლოგი

დედოფლისწყარო VS საგარეჯო — 2:1



დედოფლისწყაროს დინამოს აკადემიის და საგარეჯოს გარეჯის აკადემიის 2013-2014 წლებში დაბადებულ მოსწავლეებს შორის ამხანაგური მატჩი ჩატარდა ფეხბურთში. თამაში, რომელიც დედოფლისწყაროს ცენტრალურ სკვერში ახალ სტადიონზე შედგა, დედოფლისწყაროელების სასარგებლოდ 2:1 დასრულდა. როგორც მწვრთნელები განმარტავენ, პატარა ფეხბურთელები მნიშვნელოვანი მატჩებისთვის ემზადებიან.

შალვა შაიშვილი: „ეს ამხანაგური თამაში იყო, მოსამზადებელი ეტაპი გვაქვს მაისში დაგეგმილი ფესტივალისთვის, სადაც მთელი კახეთის რეგიონის დინამო აკადემიის ბავშვები დედოფლისწყაროში ჩამოვლენ. რეგიონულ ფესტივალს დედოფლისწყარო უმასპინძლებს. მოგებასთან ერთად, ორმაგად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბავშვები სწორედ ისე თამაშობდნენ, როგორც ვარჯიშზე ვუთითებთ. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო და ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთელები თითოეულ ასპექტში უფრო დაიხვეწებიან. ამჯერად თამაშის დაწყებამდე ბავშვებმა მწვრთნე-



ლის ვასო მაძლარაშვილისგან მიიღეს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მონახაზი, რომელიც ამ თამაშისთვის აუცილებელი იყო, თითოეულმა ბავშვმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი მითითებებს, რის გამოც თამაში ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა“.

ვასო მაძლარაშვილი: „10 და 11 მაისს ჩვენი რაიონი უმასპინძლებს ფესტივალს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ კახეთის რეგიონის დინამოს საფეხბურთო სკოლის 2013-2014 და 2015-2016 წელს დაბადებული ბავშვები.“

რაც შეეხება მზადების პროცესს, აქტიურად ვემზადებით, ამ მოკლე პერიოდში ვითამაშეთ ორი ამხანაგური თამაში, მივეცით შანსი ყველა ბავშვს თავი გამოეჩინა, რადგან მერჩევის პროცესში ვართ, რადგანობიდან გამომდინარე კონკურენცია მაღალია და ფესტივალზე ამ ეტაპზე მხოლოდ „საუკეთესოები“ მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ ეს ფესტივალი წელიწადში ერთხელ მოხდება და ვინც ვერ მოხვდება აღნიშნულ ტურნირზე მომავალში ექნება შესაძლებლობა მეტი ივარჯიშონ, განვითარდნენ, ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ და აუცილებლად მიეცემათ შანსი მიიღონ მონაწილეობა“.

ილია მარტყოფლიშვილი

აპრილი

ორშაბათი 21.04
დღე ღამე



20°



10°

სამშაბათი 22.04
დღე ღამე



21°



11°

ოთხშაბათი 23.04
დღე ღამე



21°



11°

ხუთშაბათი 24.04
დღე ღამე



18°



10°

პარასკევი 25.04
დღე ღამე



16°



9°

შაბათი 26.04
დღე ღამე



20°



10°

კვირა 27.04
დღე ღამე



20°



9°

გამომცემელი შპს „შირაქი“

დირექტორი **ნეზა შიოლაშვილი**

რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები);

სათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი);

ნიკი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქინძაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.

ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „ლაბ კოლორის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი

დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,

ტელ. 0 356 22 22-85;

„შირაქის“ ელ.ფოსტა:

gazetishiraki@gmail.com

598 72-18-72 (დირექტორი)

593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია

დედოფლისწყაროს

რაიონის სასამართლოს

მიერ, № 6 014 - 468.

გაზეთის გამომწერა

წელიწადში – 20 ლარი